მ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის დაგვა–დასუფთავება, ქუჩებისა და მოედნების მორწყვა–ჩარეცხვა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნარჩენების გაუვნებელყოფა – 2577.7 ათასი ლარი; გალვანიზებული ლითონის ფურცლისაგან დამზადებული მოძრავი ნაგვის კონტეინერის შექმნა – 82,0 ათასი ლარი; ღვარსადენის ქსელის (120 ობიექტი) ექსპლუატაციის ხარჯები – 311,4 ათასი ლარი; სტაციონარული კონტეინერის შექმნა 50.0 ათასი ლარი; ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის დაგვა–დასუფთავებაზე 150,0 ათასი ლარი და ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტი 380,0 ათასი ლარი, სპეციალური ტექნიკის შექმნა 250,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველების (წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი, ძაღლი, კატა) იზოლაცია და პირუტყვის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა – 120,0 ათასი ლარი.

ნ. ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ნ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

ნ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 3200,6 ათასი ლარი.

ნ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა–შენახვა და ექსპლუატაცია, სადღესასწაულო

დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

ნ.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: ქალაქის იერსახის გალამაზება, მოსახლეობისათვის სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ნ.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურული ობიექტები, ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე, მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

ო. შადრევნების ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

ო.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

ო.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 359,0 ათასი ლარი.

ო.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული შადრევნების ექსპლუატაცია. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის დასვენებაზე ორიენტირებული გარემოპირობების შექმნა. შადრევნების გამართული მუშაობისათვის საჭიროა მოწესრიგებულ იქნეს ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების საკითხი.

ო.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 92,5 ათასი ლარის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია (ცენტრალურ ბაღში მდებარე 2 შადრევანი, ცენტრალურ მოედანზე მდებარე შადრევანი, ნინოშვილის ბაღში მდებარე შადრევანი, პარლამენტის შენობასთან მდებარე წყალსაცავი, ხარაზოვის ბაღში მდებარე შადრევანი, I სკოლასთან მდებარე შადრევანი, ყოფილ პროკურატურასთან მდებარე შადრევანი, კიკვიძის სკვერში მდებარე შადრევანი, ნიკოლაძის სკვერში მდებარე შადრევანი, ყოფილი თევზის მაღაზიასთან მდებარე შადრევანი და სასმელი ნიჟარები); 2014 წლის ვალდებულება შადრევნების მოვლა-პატრონობა და ექსპლუატაცია – 1,6 ათასი ლარი; 169,0 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება ელექტროენერჯის ღირებულების ხარჯები; 95,9 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება მოხმარებული წყლის ღირებულების ხარჯები.

პ. ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 02)

პ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

პ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 662,7 ათასი ლარი.

პ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობა, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შექმნა, ხე-მცენარეების შეწამვლა, გასხვლა, სანაგვე ურნებისა და საბაღე სკამების აღდგენა. ქალაქში არსებულ სკვერებში განადგურებული მწვანე საფარის აღდგენა და დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, მწვანე საფარის მუდმივი განახლება, ასევე მაღალი ტანის ხეების გადაბეღვა და გამხმარი ხეების მოჭრა.

პ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობის ხარჯები, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შექმნის ხარჯები – 294,0 ათასი ლარი; 2014 წლის ვალდებულება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაღების, სკვერების, გაზონების, ფერდობების მოვლა-პატრონობის ხარჯები, ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილების შექმნის ხარჯები – 2,8 ათასი ლარი; ხე-მცენარეების განაშენიანება – 36,9 ათასი ლარი; სკვერების მოწყობის კაპიტალური სამუშაოები – 298,0 ათასი ლარი; 2014 წლის ვალდებულება სკვერების მოწყობის კაპიტალური სამუშაოები – 31,0 ათასი ლარი.

ჟ. საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 04)

ჟ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

ჟ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 166,3 ათასი ლარი.

ჟ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის მოსახლეობისათვის საახალწლო, სადღესასწაულო განწყობილების შექმნის მიზნით განხორციელდება საახალწლოდ ქალაქის გარე იერსახის მოწყობის სამუშაოები, კერძოდ, ქალაქის ცენტრალური ქუჩების, ბაღებისა და სკვერების მორთვა სხვადასხვა მანათობლებითა და ციმციმებით.

ჟ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქის საახალწლო აქსესუარების დემონტაჟი, შენახვა–დასაწყობება, განახლება და მონტაჟის ხარჯები – 150,0 ათასი ლარი; 2014 წლის ვალდებულება საახალწლო აქსესუარების დემონტაჟი – 16,3 ათასი ლარი;

რ. ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

რ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

რ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 200,0 ათასი ლარი.

რ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: დანგრეული, მწყობრიდან გამოსული ქუჩისპირა საყრდენი კედლების აღდგენა პირვანდელი სახით, იგივე ზომებში, თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენებით.

რ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქუჩების დამცავი კედლების შეკეთებისა და კაპიტალური მშენებლობის სამუშაოების ჩატარების ხარჯები – 200,0 ათასი ლარი.

ს. ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 07)

ს.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

ს.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 97,0 ათასი ლარი.

ს.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქ ქუთაისში, ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პირველი ეტაპი. ძალზედ მნიშვნელოვანია ქალაქში არსებობდეს ძირითადი ტურისტული მარშრუტების, ქალაქის ღირშესანიშნაობების აღმნიშვნელი ფირნიშები, აგრეთვე, მოწესრიგდეს ქალაქის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტუალეტები.

ს.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 40,0 ათასი ლარი – საზოგადოებრივი ტუალეტების რეაბილიტაცია; 47,0 ათასი ლარი – ტურისტული მარშრუტებისა და ისტორიული ძეგლების აღმნიშვნელი ფირნიშების მოწყობა; 10,0 ათასი ლარი – 2017 წელს დაგეგმილი რაგბის 20 წლამდელების მსოფლიო ჩემპიონატის საინფორმაციო ბანერების განთავსება ქალაქის მასშტაბით.

ტ. ძეგლსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა–მონტაჟი (პროგრამული კოდი 03 03 08)

ტ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

ტ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 100,0 ათასი ლარი.

ტ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის მასშტაბით ძეგლსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა–მონტაჟი. სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ბავშვებისათვის კომფორტული გასართობი და დასასვენებელი

ადგილების შექმნა ჯანსაღი მომავალი თაობისთვის. აგრეთვე, ზრდასრული ადამიანებისათვის, ჯანსაღ გარემოში, კომფორტული დასასვენებელი ადგილების შექმნა.

ტ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 100,0 ათასი ლარი – ძელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა–მონტაჟი.

უ. გაუთვალისწინებელი კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 10)

უ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

უ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50,0 ათასი ლარი.

უ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულებას ქალაქის მასშტაბით, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს დაზიანებული ხიდების, საცხოვრებელი სახლების ავარიულად დანგრევით, მაღალი ტანის ხეების წაქცევით გამოწვეული დაზიანებების, სანაპირო საყრდენი და ქუჩისპირას სტიქიურად გადმონგრეული საყრდენი კედლების, წყალსადენის, გაზისა და კანალიზაციის ქსელების ოპერატიულად აღდგენას და სხვა.

უ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯები – 50,0 ათასი ლარი.

ფ. მუნიციპალიტეტის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03 12)

ფ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

ფ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 96,5 ათასი ლარი

ფ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებისა და წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა დაცვის განხორციელება; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა–ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

ფ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების დაცვა – 20,0 ათასი ლარი; უძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაცია – 44,5 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურების ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარეგებლობის ქირის განსაზღვრა – 28,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება – 1,3 ათასი ლარი.

ქ. ქალაქ ქუთაისში მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გადაადგილებისათვის პანდუსების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 13)

ქ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

ქ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 1034,1 ათასი ლარი.

ქ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის ტერიტორიაზე, ცენტრალურ ობიექტებთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების გადაადგილებისათვის პანდუსების მოწყობა.

ქ.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა: შენობებისა და ფასადების რეაბილიტაცია – 5.8 ათასი ლარი; 2014 წლის ვალდებულება შენობებისა და ფასადების რეაბილიტაცია – 83.7 ათასი ლარი; საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია – 816,2 ათასი ლარი; ქალაქში პანდუსების მოწყობა – 128,4 ათასი ლარი, მათ შორის: 2014 წლის ვალდებულება – 28,4 ათასი ლარი.

დ. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 14)

დ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

დ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 300.0 ათასი ლარი.

დ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (მათ შორის სახელმწიფო საკუთრებიდან დამატებითი ქონების სახით გადმოცემული) გამოუყენებელი შენობების, რეკონსტრუქციის გზით საბინაო ფონდის (სოციალური საცხოვრისი) შექმნა, უსახლკარო ან/და მძიმე საბინაო პრობლემების მქონე ოჯახების სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

დ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 300.0 ათასი ლარი – ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი შენობების რეაბილიტაციისათვის.

ე. ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების, ასევე ეკონომიკური ურთიერთობებისათვის საჭირო ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 15)

ე.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური.

ე.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 35,0 ათასი ლარი.

ე.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია იქნება დოკუმენტი, სადაც უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. დამუშავდება ქალაქში საკვანძო დარგების გამოვლენის პროცედურები (ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკისა და ბიზნესის ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მსხვილი ინოვაციური პროექტების დაგეგმვა, განათლებისა და სხვა სფეროების პროგრესული განვითარების სტრატეგიები და ა.შ.). ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მისაღება ძალიან ბევრი თემატიკის სტრატეგიული დოკუმენტები, მაგალითად, როგორცაა ქალაქის მდგრადი ენერჯეტიკის განვითარების გეგმის („sustainable energy action plan“) ფარგლებში სხვადასხვა პროექტებისათვის საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა. ასევე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

ე.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ათას ლარებში)
1.	ხარჯები სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, ჯგუფის წევრებისა და სხვა დამხმარე ექსპერტებისათვის (სტუმრად მოწვეული სპეციალისტების ჰონორარები, სტუმრების დახვედრა-დაბინავება-ტრანსპორტირება)	15,0
2.	ქალაქის ეკონომიკური დინამიკის, საინვესტიციო გარემოსა და ეკონომიკური სიტუაციის ამსახველი საინფორმაციო მასალის დამზადება	5,0

3.	ქალაქის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავების, გენერალური გეგმისა და სხვა სტრატეგიული დოკუმენტების საორგანიზაციო, სამიწვლინებო, საპრეზენტაციო, ბეჭდვითი და სხვა ხარჯებისათვის	15,0
4.	სულ ხარჯი	35,0

შ. ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება (პროგრამული კოდი 03 03 15)

შ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

შ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 100,0 ათასი ლარი.

შ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის მასშტაბით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით არსებული პრობლემების მოგვარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. წლების განმავლობაში მოუგვარებელი სხვადასხვა პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა, მოქალაქეებისათვის კომფორტული გარემოს შექმნა.

შ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 100,0 ათასი ლარი – ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელებისათვის.

ჩ. ქალაქ ქუთაისში ტურიზმის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

ჩ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახური

ჩ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 65,0 ათასი ლარი.

ჩ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: საერთაშორისო ტურისტული გამოფენებისათვის ქუთაისის ტურისტული გზამკვლევისა და ბროშურის მომზადება; საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიღება: თელ-ავივი, პოზნანი, ხარკოვი, კიევი, თბილისი, ბათუმი, ბერლინი, ლონდონი, სტამბული, ტოკიო, რიგა, ალმატა, თბილისი, ბათუმი, ვარშავა, ბიშკეკი, ლვოვი და სხვა. ტურიზმის საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის შექმნისათვის საორგანიზაციო ღონისძიებების გატარება. ქუთაისის ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის ფესტივალებისა და კონკურსების ჩატარება. სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების ეგიდით ქალაქში მობილური საინფორმაციო ჯგუფების შექმნა, ტურისტული კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის სპეციალური ღონისძიებების განხორციელება.

ჩ.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი
1.	საერთაშორისო გამოფენებში სტენდის იჯარის ხარჯები: თელ-ავივი, პოზნანი, ხარკოვი, კიევი, ბერლინი, სტამბული, რიგა, ვილნიუსი, ტალინი, კრაკოვი, კატოვიცე, ალმატა, თბილისი, ბათუმი, ბიშკეკი, ლვოვი, ვარშავა და სხვა.	18
2.	საგამოფენო ტურისტული მასალების, ბროშურების, პროსპექტების, ქუთაისისა და იმერეთის გზამკვლევისა და რუქების, სასაჩუქრე პაკეტების მომზადება-დაბეჭდვა; ტურისტული პოტენციალის საპრომოუშენო ღონისძიებების განხორციელება; ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტომასალის შესყიდვა; ქალაქის ტურისტული ლოგოსა და სლოგანის შექმნა; ჰონორარები; სარეკლამო ვიდეო კლიპების, დოკუმენტური ფილმების მომზადება; ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის სხვადასხვა პროექტების განხორციელება, მათ შორის ვებ გვერდის დამზადება.	32
3.	ვალდებულებების კლება	15,0
4.	ჯამი	65,0

ჩ.ე. მოსალოდნელი შუალედური შედეგი: ტურიზმის 2015 წლის განვითარების პროგრამის ძირითადი ამოცანაა ქუთაისისათვის საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მოპოვების ხელშეწყობა, ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქუთაისის ტურისტული პოტენციალის გატანა და პრომოუშენი, ქუთაისში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, მომსახურების ფორმების დახვეწა და განვითარება, ტურისტული კადრების მომზადებისა და გადამზადების ხელშეწყობა.

ჩ.ვ. შეფასების ინდიკატორი: ქართველი და უცხოელი ტურისტების ნაკადების რიცხვი; ტურისტული პოტენციალით დაინტერესების ზრდის მაჩვენებელი; ტურისტულ ბაზარზე ქალაქის ცნობადობის დონის მაჩვენებელი.

ვ. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

ვ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

ვ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 416,0 ათასი ლარი.

ვ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება ქალაქში არსებული შესაკეთებელი ობიექტების აღრიცხვა-დაპროექტება, პროგრამით გათვალისწინებული საპროექტო ობიექტების ტექნიკური ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების ხარისხიანი და განსაზღვრულ დროში წარმოდგენა. შესაბამისი სამსახურიდან საპროექტო დავალებებისა და საპროექტო სიმძლავრეების მიწოდების უზრუნველყოფა; საპროექტო ორგანიზაციის მიერ ტექნიკური ნახაზებისა და ხარჯთაღრიცხვების შესრულება.

ვ.დ. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის – 350,0 ათასი ლარი (მათ შორის: შენობები, ქუჩები, გარეგანათება, ბალები, სკვერები, შადრევნები, ფასადები, სახურავები და გარე კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოები); 2014 წლის ვალდებულება საპროექტო სამუშაოების წარმოება – 35,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის – 31,0 ათასი ლარი.

ვ.ე. მოსალოდნელი შუალედური შედეგი: კარგი სატენდერო პირობები; შესრულებული და წარმოდგენილი სახარჯთაღრიცხვო პროექტები.

ვ.ვ. შეფასების ინდიკატორი: ექსპერტთა შეფასება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00): მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წელს განხორციელდება საბავშვო ბალების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

ა. ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბალების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

ა.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ააიპ ბაგა-ბალების გაერთიანება.

ა.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 8450,0 ათასი ლარი

ა.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის საბავშვო ბაგა-ბალების (ფილიალები) საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ფილიალებში რაციონალური და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა

(სამჯერადი კვებით); სავალდებულო მედიკამენტებითა და პირველადი დახმარების საშუალებებით, აგრეთვე სხვა აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფა. საჭიროების შემთხვევაში ფილიალებში განხორციელდება კაპიტალური სამუშაოები.

ბ. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

ბ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

ბ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 185,0 ათასი ლარი.

ბ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას; სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას; აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას.

ბ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ხარჯთაღრიცხვა
1.	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მათ შორის:		116.0
ა.	დედის დღისადმი მიძღვნილი საქალაქო კონცერტი ბაგა-ბალების აღსაზრდელთა მონაწილეობით	მარტი	4.0
ბ.	საჯარო სკოლების მოსწავლეთა თეატრალური ფესტივალი (სპექტაკლების ჩვენება და გამარჯვებულების დაჯილდოება ნომინაციების მიხედვით)	წლის განმავლობაში	15.0
გ.	ლიტერატურული მოგზაურობა პოლონეთის რესპუბლიკაში	აპრილი-ივნისი	9.0
დ.	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო სპორტული ღონისძიება (მხიარული სტარტები სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელთა მონაწილეობით)	1 ივნისი	3.0
ე.	ბავშვთა ნახატების გამოფენა	1 ივნისი	3.0
ვ.	საზაფხულო ბანაკის მოწყობა საჯარო სკოლების VIII-IX-X კლასების სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთათვის, ორ ნაკადად, შავი ზღვისპირეთის კურორტებზე	ივლისი-აგვისტო	30.0
ზ.	საზაფხულო შემეცნებითი ბანაკი „მცირე აკადემია“ საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ინფორმატიკის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეებისათვის შავი ზღვისპირეთის კურორტზე	აგვისტო-სექტემბერი	15.0
თ.	მედია-პროექტი „ეტალონი“	ნოემბერი-დეკემბერი	3.0
ი.	„სოს“ ბავშვთა სოფლის მოსწავლეთა საგანმანათლებლო მხარდაჭერა	იანვარი-დეკემბერი	5.0
კ.	სპექტაკლის მომზადება „სოს“ ბავშვთა სოფლის ბენეფიციართა მონაწილეობით	წლის ბოლომდე	5.0
ლ.	ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის მხარდაჭერა	ოქტომბერი-ნოემბერი	5.0
მ.	გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯი	იანვარი-დეკემბერი	14.2
ნ.	არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი მასალების ჩვენება და ფოტოგამოფენა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში	1-7 მაისი	0.8
ო.	კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის დაგეგმილი კვირეული	სექტემბერი-ოქტომბერი	4.0
2.	ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი:	იანვარი-დეკემბერი	7.0

3.	სხვა ხარჯი	წლის განმავლობაში	51.0
ა.	მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება	5 ოქტომბერი	18,0
ბ.	მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გივი ბრეგაძის სახლ-მუზეუმში ქუთაისის მუზეუმების ღვაწლმოსილი და წარმატებული თანამშრომლების დაჯილდოება	18 მაისი	3.0
ბ.	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურსა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა და მათი პედაგოგების დაჯილდოება	ნოემბერი	15,0
დ.	ქალაქის მერის სტიპენდია წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის	წლის განმავლობაში	15.0
4.	სოციალური მუხლი	წლის განმავლობაში	9.0
5.	სუბსიდიები, მათ შორის:	წლის განმავლობაში	2.0
	საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტების დაფინანსება	წლის განმავლობაში	2.0
6.	სულ ჯამი:		185.0

გ. ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდი 04 03)

გ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური.

გ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1606,6 ათასი ლარი.

გ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის სკოლამდელი ასაკის ბავშვების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, განათლების დონის ბაზის შექმნა.

გ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 2014 წლის ვალდებულება ქალაქ ქუთაისში ორი ახალი ბაგა-ბაღის კაპიტალური მშენებლობა საქართველოს მთავრობის 13.01.2014 წლის №34 განკარგულების საფუძველზე – 318,1 ათასი ლარი; 2014 წლის ვალდებულება ქალაქ ქუთაისში ორი ახალი ბაგა-ბაღის კაპიტალური მშენებლობა (ადგილობრივი ბიუჯეტი) – 383.6 ათასი ლარი (მათ შორის: ორი ბაგა-ბაღის კაპიტალური მშენებლობისთვის 346,6 და ორი ბაგა-ბაღის ელექტრო ენერჯის, წყლისა და გაზის მომარაგებისათვის საჭირო კომუნიკაციების მიყვანა-მიერთება – 37.0 ათასი ლარი), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით ბაგა-ბაღების მიშენებები – 904,9 ათასი ლარი;

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00): ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ა.ა. პროგრამის ბიუჯეტი: 8094,5 ათასი ლარი.

ა.ბ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.გ. მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი; ქალაქის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; გარდაცვლილი გამოჩენილი ქუთაისელი მწვრთნელების სახელების უკვდავყოფა; ცნობილი ქუთაისელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პატივგება; ქალაქში სპორტის განვითარება.

ა.დ. შეფასების ინდიკატორები: სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; ქალაქის სპორტული მიღწევების მაჩვენებელი; სპორტსმენებისა და მწვრთნელების კვალიფიკაციის დონე.

ბ. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 619,0 ათასი ლარი

ბ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქში სპორტის განვითარება და სპორტსმენების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა. წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება უზრუნველყოფს პერსპექტიული სპორტსმენების აღმოჩენას, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდას სპორტით, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და გარდაცვლილი გამოჩენილი ქუთაისელი მწვრთნელების სახელების უკვდავყოფას.

ბ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	დასახელება	თარიღი	ხარჯთაღრიცხვა (ათას ლარებში)
1.	სატრანსპორტო ხარჯი	წლის განმავლობაში	10.0
2.	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება მათ შორის:	წლის განმავლობაში	132.2
ა.	საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გ. ჩიქოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში	წლის განმავლობაში	10.0
ბ.	მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, თეიმურაზ აფხაზავასა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ილია ბობოხიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში	01.09–30.10	10.0
გ.	დავით ჩირაძის მემორიალი ჭადრაკში გოგონათა და ჭაბუკთა შორის (გუნდური პირველობა)	25.11–02.12	5.0
დ.	საქალაქო ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენთა შორის მკლავჭიდაობაში (ფასიანი საჩუქრების შემენა)	14.06	2.0
ე.	ზ. შეყრილაძისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, მ. დობტურაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში	13.11–15.11	6.0
ვ.	საქალაქო ღია პირველობა კარატეში „OPEN KUTAISI“	წლის განმავლობაში	5.0
ზ.	საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი სარდანაძის სახელობის ტურნირი ჭიდაობა „სამბოში“	15.11–16.11	3.0
თ.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მკლავჭიდაობაში და წოლჭიდაობაში (ფასიანი საჩუქრების შემენა)	03.12	2.0
ი.	მერიის თასის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის	01.12–30.12	5.0
კ.	მსოფლიო ჩემპიონის, აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კრივში	01.04–30.04	10.0
ლ.	კოლია ქვარიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში	01.05–31.05	6.0

მ.	მურად ჭიჭინაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია საქალაქო პირველობა მეკლდეურობაში	დანიშნით	2.8
ნ.	ქუთაისში არსებულ სხვადასხვა დაწესებულებათა შორის მინი-საფეხბურთო ტურნირი	დანიშნით	3.0
ო.	ალპინადა დამწყებ და პროფესიონალ მთასვლელთათვის	დანიშნით	5.0
პ.	„ქუთაისის რეგატა 2015“ აკადემიურ, კანოეთი და კაიაკით ნიჩბოსნობაში, მიძღვნილი ოლიმპიზმისა და სპორტის საერთაშორისო დღისადმი	01.09–30.10	5.0
ჟ.	საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის თ. არჩაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბალახის ჰოკეიში	01.06–30.07	3.0
რ.	სპორტული კვირეული-ღია საქალაქო ტურნირი ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის	დანიშნით	5.0
ს.	„თბილისი 2015“-ის ოლიმპიური ფესტივალისადმი მიძღვნილი სპორტული მასობრივი ღონისძიების დაფინანსება	დანიშნით	5.5
ტ.	წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება	01.12–30.12	20.0
უ.	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	18.9
3.	სხვა ხარჯი	წლის განმავლობაში	255.0
ა.	წარმატებული ქუთაისელი სპორტსმენების სტიპენდია	წლის განმავლობაში	90.0
ბ.	ქუთაისელი ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია	წლის განმავლობაში	40.0
გ.	ქუთაისელი ვეტერანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა	წლის განმავლობაში	10.0
დ.	ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებული (პრიზიორი) სპორტსმენების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკთა და მწვრთნელთა საპრემიო დაფინანსება	წლის განმავლობაში	75.0
ე.	ნიკოლოზ დერიუგინისა და ზურაბ გრძელიძის ვარსკვლავის გახსნა	წლის განმავლობაში	7.0
ვ.	მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში	წლის განმავლობაში	20.0
ზ.	ევროპის ორჯონის ჩემპიონის, აკაკი კობორძალიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში	წლის განმავლობაში	10.0
თ.	სპორტულ კვირეულში გამარჯვებულთა საპრიზო ფონდი	დანიშნით	3.0
4.	სოციალური დახმარება	წლის განმავლობაში	16.8
ა.	მოქმედი და გარდაცვლილი სპორტსმენების, სპორტის დამსახურებული მუშაკებისა და მწვრთნელების ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	წლის განმავლობაში	15.0
ბ.	ოლიმპიური თამაშების ლიგენზიის მქონე სპორტსმენებისა და მწვრთნელების წინა საოლიმპიადო მომზადებისათვის ფინანსური დახმარება	წლის განმავლობაში	1.8
5.	სუბსიდიები	წლის განმავლობაში	205.0
ა.	ოლიმპიური კომიტეტი	წლის განმავლობაში	10.0
ბ.	ააიპ სარაგბო კლუბი „აია“	წლის განმავლობაში	185.0
გ.	ააიპ იმერეთის მთასვლელთა და მეკლდეურთა ფედერაცია	წლის განმავლობაში	10.0
6.	ჯამი		619.0

გ. ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02)**გ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 3412,3 ათასი ლარი.**

გ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისის სასპორტო სკოლების /ფილიალების/ საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი საქმიანობისათვის ხელშეწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება; სპორტის სახეობებში ქალაქის ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციების მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდისათვის რეზერვის მომზადება.

დ. შპს საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“ (პროგრამული კოდი 05 01 03)**დ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 870,0 ათასი ლარი.**

დ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ქუთაისის საკალათბურთო კლუბ „ქუთაისი-2010-ის“ ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია ქართული კალათბურთის პოპულარიზაცია; კალათბურთის პროფესიული გუნდის განვითარება, კლუბისათვის საჭირო და პერსპექტიული სპორტსმენების მოზიდვა, სავარჯიშო და სატურნირო ინვენტარის შეძენა; საკალათბურთო შეხვედრებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება.

ე. ააიპ „ყინულის მოედანი“ (პროგრამული კოდი 05 01 04)**ე.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 380,0 ათასი ლარი**

ე.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ყინულის მოედნის“ ექსპლუატაციისათვის ყველა საჭირო ხარჯი. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა ყინულზე ფიგურულ სრიალში და სპორტის ამ სახეობის განვითარება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესების ორგანიზება; ამ სახეობის პოპულარიზაცია და კვალიფიციური სწავლების უზრუნველყოფა; ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად სხვადასხვა კატეგორიის შეჯიბრებების ჩატარება.

ვ. ააიპ „სპორტის სასახლე“ (პროგრამული კოდი 05 01 07)**ვ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 200,0 ათასი ლარი**

ვ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „სპორტის სასახლის“ ადმინისტრაციული ხარჯები.

ზ. ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბი“ (პროგრამული კოდი 05 01 08)**ზ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30,0 ათასი ლარი**

ზ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, კოორდინაცია და კლუბის საქმიანობის ხელშეწყობა. ქალაქის ნაკრები გუნდის კანდიდატებისა და სელექციების მეშვეობით, შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება. წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება, სახელფასო ვალდებულებების, სამივლინებო ხარჯების, უნიფორმის შეძენისა და სპორტულ ღონისძიებებში (2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიადაში მსოფლიოსა და საერთაშორისო ჩემპიონატებში) მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

თ. მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 09)

თ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

თ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 265,0 ათასი ლარი.

თ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის იერსახის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის დასვენებაზე ორიენტირებული გარემოპირობების შექმნა. რეაბილიტირებული იქნება არსებული სპორტული მოედნები და მოეწყობა ახალი.

თ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის სამუშაოები – 265,0 ათასი ლარი.

ი. სპორტული „ტრენაჟორების“ მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 10)

ი.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური.

ი.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 50,0 ათასი ლარი.

ი.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მოქალაქეებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის, ქალაქის ტერიტორიაზე სპორტულ–გამაჯანსაღებელი ადგილების მოწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსახლეობის წახალისება სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით.

ი.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: სპორტული „ტრენაჟორების“ მოწყობისათვის 50,0 ათასი ლარი.

კ. შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“ (პროგრამული კოდი 05 01 11)

კ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2203.6 ათასი ლარი.

კ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის“ ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსებას. ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია; ფეხბურთის პროფესიული გუნდის განვითარება, გუნდისათვის საჭირო და პერსპექტიული სპორტსმენების მოზიდვა, სავარჯიშო და სატურნირო ინვენტარის შექმნა; საფეხბურთო შეხვედრებსა და ტურნირებში მონაწილეობის მიღება.

კ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N26 განკარგულებით, შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისის“ შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 830,6 ათასი ლარი, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1373,0 ათასი ლარი.

ლ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ლ.ა. პროგრამის ბიუჯეტი: 8112,9 ათასი ლარი.

ლ.ბ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ლ.გ. მოსალოდნელი შედეგი: საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური ღონის ამაღლება, უნიკალური და უძველესი ქართული კულტურის ფასეულობების მომავალი თაობებისათვის გადაცემა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა თეატრალური, სამხატვრო და სამუსიკო დარგების მიმართ, ინტელექტუალური ღონის ამაღლება.

ლ.დ. შეფასების ინდიკატორები: მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლებისა და გამოფენების რაოდენობის ზრდა; საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე დამსწრეთა, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ექსპერტთა დასკვნები და შეფასებები.

მ. კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 01)

მ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 903.7 ათასი ლარი.

მ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას. კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზებას.

მ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებები	თარიღი	ხარჯთაღრიცხვა (ათას ლარებში)	შენიშვნა
1	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მათ შორის:		755.8	
ა.	კულტურული ინიციატივები	01.01.15. 31.12.15.	20,5	
ბ.	გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯები	01.01.15. 31.12.15.	27,8	
გ.	წლის კალენდარული ღონისძიებები	01.01.15. 31.12.15.	502.3	
გ.ა	ჟურნალ „მწვანე ყვავილას“ გამოცემა	01.01.15. 31.12.15.	10,0	
გ.ბ	ჟურნალ „განთიადის“ ბეჭდვა, ჰონორარები	01.01.15. 31.12.15.	30,0	
გ.გ	ჟურნალ „თეატრალური ქუთაისის“ გამოცემა	01.01.15. 31.03.15.	2,7	
გ.დ	ჟურნალ „მერმისის“ გამოცემა	01.11.15. 31.12.15.	1,5	
გ.ე	ალმანახი „სახვითი ხელოვნების ქრონიკების“ გამოცემა	01.01.15. 31.12.15.	7,5	
გ.ვ	გაზეთ „უქიმიერიონის“ გამოცემა	01.01.15. 31.12.15.	6,0	
გ.ზ	გაზეთ „იპოლიტეს“ გამოცემა	01.06.15. 30.12.15.	1,4	
გ.თ	ლია გვენეტაძის წიგნის გამოცემა	01.06.15. 30.12.15.	1,5	
გ.ი	ფოტო –ალბომის – „ქუთაისი, გუმინ, დღეს, ხვალ“ – გამოცემა	01.06.15. 30.12.15.	3,3	
გ.კ	შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო მსვლელობა	07.01.15.	3,0	
გ.ლ	მხატვართა საშობაო, საგაზაფხულო, სამემოდგომო გამოფენა ქუთაისში და საანგარიშო გამოფენა ბათუმში	01.01.15. 31.12.15.	15,0	
გ.მ	მხატვარ ვიტალი კაპანაძის პერსონალური გამოფენა თბილისში	01.01.15. 31.12.15.	8,0	
გ.ნ	საერთაშორისო და რესპუბლიკური პლენერი ფერწერასა და ქანდაკებაში	01.01.15. 31.12.15.	25,0	
გ.ო	ტარიელ ხარხელაურის შემოქმედებითი საღამო	01.01.15. 31.12.15.	5,0	
გ.პ	ჯანსუღ კახიძისა და გია ყანჭელის საიუბილეო საღამოები	01.01.15. 31.12.15.	42,0	
გ.ჟ	პაატა მილორავას წიგნის გამოცემა	01.01.15. 31.12.15.	5,0	

გ.რ	ცირა შალაშვილის წიგნის გამოცემა	01.01.15. 30.04.15.	5,0	
გ.ს	სიმონ არველაძის ორთომეულის გამოცემა	01.01.15. 30.05.15	4,0	
გ.ტ	ზურაბ ჯავახაძის წიგნის გამოცემა	01.01.15. 30.05.15	2,2	
გ.უ	ალექსანდრე ბასილიას ხსოვნის საღამო	01.03.15. 31.12.15.	10,0	
გ.ფ	ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კვირეული	03.03.15. 08.03.15.	12,0	
გ.ქ	შემეცნებითი საჯარო ლექციების ციკლი „საშემოდგომო შეხვედრები“	წლის განმავლობაში	2,0	
გ.ღ	ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის	14.04.15.	2,5	
გ.ყ	ერეკლე დიდიას საავტორო საღამო	01.02.15. 31.12.15.	15,0	
გ.შ	ქალაქ ქუთაისის მეორე სამუსიკო სკოლის პროექტი 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით „ჩვენ ყველანი ერთად ვართ“ სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და „SOS“ ბავშვთა სოფლის აღსაზრდელთა მონაწილეობით.	15.01.15. 01.06.15.	5,0	
გ.ჩ	კომპოზიტორის და შემსრულებლის, ზურაბ აბულაძის ხსოვნის საღამო	01.03.15. 31.12.15.	7,0	
გ.ც	ოტია იოსელიანის საღამო აჭარაში	01.01.15. 30.12.15.	5,0	გაცვლითი პროექტები რეგიონებს შორის
გ.ძ	ზაზა კილასონიას კონცერტი ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად	01.04.15. 30.12.15.	8,5	
გ.წ	მოკლემეტრაჟიანი ახალგაზრდული ფილმების ფესტივალი	12.04.15. 30.12.15	4,0	
გ.ჭ	კ.მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი „საზღვრები“	წლის განმავლობაში	2,5	
გ.ხ	ქალაქობის დღესასწაული „ორმანობა“	02.05.15.	66,5	
გ.ჯ	საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	26.05.15	6,2	
გ.ჰ	ლაზური მუსიკის ფესტივალი	01.10.15. 30.12.15.	18,0	
გ.ჰ.ა	პროექტი „ზაფხულის საღამოები“	1.10.15. 1.06.15.	15,0	
გ.ჰ.ბ	ვასილ ამაშუკელის ძეგლის აღჭურვა საპროექციო აპარატურით	01.06.15. 30.12.15.	3,5	
გ.ჰ.გ	დოკუმენტური ფილმის „რეზო ჭეიშვილი – მუსიკა ქარში“ გადაღება	01.06.15. 30.12.15.	3,7	
გ.ჰ.დ	უკრაინელი ქორეოგრაფის, ბალეტის ოსტატის, ეკატერინე მასლის საბალეტო კონცერტი	01.06.15. 30.12.15.	2,5	
გ.ჰ.ე	ფოტო-კონკურსი „კადრი-ქუთაისი“	01.10.15. 30.10.15.	10,0	

გ.პ.ვ	ბალანჩივაძეების სახელობის რესპუბლიკური კონკურსი ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთათვის	01.04.15. 30.10.15.	25,0	
გ.პ.ზ	ნელი დარსაველიძის წიგნის გამოცემა	01.10.15. 30.12.15.	6,0	
გ.პ.თ	ოტია იოსელიანის წიგნის გამოცემა	01.10.15. 30.12.15.	5,0	
გ.პ.ი	აკაკი წერეთლის წიგნის გამოცემა	01.10.15. 30.12.15.	5,0	
გ.პ.კ	ოტია იოსელიანის საიუბილეო საღამო	01.10.15. 30.12.15.	5,0	
გ.პ.ლ	გოვენ ჭეიშვილის საიუბილეო საღამო	01.10.15. 30.12.15	1,5	
გ.პ.მ	აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო	01.10.15. 30.12.15	5,0	
გ.პ.ნ.	ზაზა მამალაძის, ტრიო „თბილისისა“ და კომპოზიტორ ნანა მესხის საავტორო კონცერტი	01.10.15. 30.12.15.	6,5	
გ.პ.ო	„გიორგობის“ დღესასწაული	23.11.15	10,0	
გ.პ.პ	გურანდა გაბუნას საღამო	წლის განმავლობაში	1,3	
გ.პ.ჟ	საახალწლო ღონისძიებები	31.12.15. 07.01.15.	55,0	
დ.	კულტურული ღონისძიებისათვის საჭირო სხვადასხვა პოლიგრაფიული ნაწარმის (ბუკლეტები, აფიშები, ბანერები, მოსაწვევები, პროგრამები და სხვა) გამოცემა	01.01.15. 31.12.15.	20,0	
ე.	თანამედროვე ლიტერატურის განვითარება და პოპულარიზაცია (ლიტერატურული საღამოები, კონკურსები, წიგნებისა და ალმანახების გამოცემა)	01.01.15. 31.12.15.	7,8	
ვ.	ლ.მესხიშვილის სახელობის პროფესიული დრამატული თეატრის და მ.ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრების იჯარა წლის განმავლობაში	01.01.15. 31.12.15.	59,4	
ზ.	გახმოვანების აპარატურით მომსახურება	01.01.15. 31.12.15.	38,0	
თ.	ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაფინანსება	წლის განმავლობაში	80,0	
2.	სატრანსპორტო ხარჯი	01.01.15. 31.12.15.	30,9	
3.	სხვა ხარჯი		62,3	
ა.	ქუთაისელი საქართველოს დამსახურებული არტისტების სტიპენდიები	01.01.15. 31.12.15.	36,0	
ბ.	ქუთაისელ მხატვართა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა	01.01.15. 31.12.15.	10,0	
ბ.	ქუთაისელ მსახიობთა საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფულადი ჯილდოს გაცემა	01.01.15. 31.12.15.	10,0	
დ.	2 მაისის ღონისძიებისთვის გამოყოფილი ჯილდო	01.06.15. 30.06.15.	6,3	
4.	არაფინანსური აქტივები ზრდა		27,0	
ა.	მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა	01.10.15. 30.12.15	27,0	
5.	ვალდებულებების კლების მუხლი	01.01.15. 31.12.15.	27,7	
6.	სულ თანხა:		903,7	

ნ. აიპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“
(პროგრამული კოდი 05 02 02)

ნ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 2831,0 ათასი ლარი.

ნ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: აიპ-ის მიზანია ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და მათი ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო ხარჯის დაფინანსება; მოზარდების აღზრდა ქართული და მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე; სამუზეუმო საქმიანობის მართვა და სამუზეუმო ექსპონატების დაცვის უზრუნველყოფა.

ო. ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ო.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 660,0 ათასი ლარი

ო.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯი. აგრეთვე მოხდება მკითხველთათვის საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და სამეცნიერო, საინფორმაციო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ბეჭდური, ხელნაწერი, ელექტრონული და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სამეცნიერო რესურსების მიღება, შეგროვება, დაცვა, დამუშავება, პოპულარიზაცია და გამოცემა.

პ. სსიპ „ნ.ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

პ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 83,0 ათასი ლარი

პ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მხოლოდ მუზეუმში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ხარჯების დაფარვა.

ჟ. ქალაქ ქუთაისში სკულპტურული ქანდაკებების დადგმისა და დემონტაჟის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ჟ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახური.

ჟ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 23,3 ათასი ლარი

ჟ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქის ისტორიულ-კულტურული მხარის უკეთ წარმოჩენა.

ჟ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: 2014 წლის ვალდებულება, გამოჩენილი პროცენტების მემორიალური დაფების მოწყობა – 3,3 ათასი ლარი; მემორიალური დაფების მოწყობა – 15,0 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისში ქანდაკებების დადგმა-დემონტაჟის სამუშაოები – 5,0 ათასი ლარი.

რ. სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“ (პროგრამული კოდი 05 02 04)

რ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 30,0 ათასი ლარი

რ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახის“ კეთილმოწყობის ხარჯების დაფინანსება, კერძოდ: რიონის სანაპიროზე მოეწყობა დეკორატიული ღობე, პირველი დარბაზი მოპირკეთდება ეკლარის ქვით, შეიქმნება მამა გაბრიელის ფერწერული ტილოები და სხვა.

ს. აიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი – სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“ (პროგრამული კოდი 05 02 08)

ს.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 755,0 ათასი ლარი

ს.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ემსახურება განსაკუთრებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ცალკეული შემსრულებლისათვის ხელშეწყობასა და ჯგუფების შექმნას ხალხური შემოქმედების, ფოლკლორულ–ეთნოგრაფიულ კოლექტივებსა და წრეებში. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორულ–ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შექმნით დაკავებული ადამიანების პოპულარიზაციას.

ტ. ააიპ „მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკი“ (პროგრამული კოდი 05 02 09)

ტ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 345,0 ათასი ლარი

ტ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს სასკოლო ასაკის მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორ ორგანიზებას, სრულფასოვან დასვენებასა და გაჯანსაღებას, ინტელექტუალური დონის ამაღლებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის განსახორციელებელი ღონისძიებების დამკვიდრებას.

უ. ააიპ „ბოტანიკური ბაღი“ (პროგრამული კოდი 05 02 10)

უ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 315,0 ათასი ლარი.

უ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული ხარჯი, სამეცნიერო კვლევითი სასწავლო–აღმზრდელობითი და კულტურულ – საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზება.

ფ. ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 11)

ფ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 1025,0 ათასი ლარი

ფ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; განათებისა და გახმოვანების აპარატურის განახლება. მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხიანი სპექტაკლების დადგმა; თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა, მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა; ქართული თეატრალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

ქ. მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 12)

ქ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 905,0 ათასი ლარი

ქ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; წლის განმავლობაში ჩატარდება საოპერო გუნდის სოლო კონცერტები, ადდგნილი იქნება საბავშვო სპექტაკლები, რითაც რეგიონის მუსიკალური სკოლებისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება ჩამოუყალიბდეთ მუსიკალური ხელოვნებისადმი სიყვარული. ორგანიზება გაუკეთდება საგასტროლო ტურნეებს ქალაქ თბილისისა და ბათუმში.

ღ. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 13)

ღ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 205,0 ათასი ლარი

ღ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეატრის ადმინისტრაციული და სადადგმო ხარჯების დაფინანსება; ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა; განათებისა და გახმოვანების აპარატურის განახლება.

ყ. ქალაქ ქუთაისში ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 15)

ყ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახური.

ყ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 31,9 ათასი ლარი.

ყ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქში ტურიზმის განვითარებისა და მოსახლეობის დასვენებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნა.

ყ.დ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა: ქალაქში ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია – 31,9 ათასი ლარი.

შ. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

შ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 206,1 ათასი ლარი.

შ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების სოციალური დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

შ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	მიმართულებები	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	ხარჯთაღრიცხვა (ათას ლარებში)
1.	სახვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება, მათ შორის:			173.9
ა.	ახალგაზრდული ბანაკების მოწყობა	დაბა ბაკურიანი (სავარაუდოდ 75 ბენეფიციარი)	მარტი	17.8
		ზღვის კურორტი	აგვისტო-სექტემბერი	12,0
		მთის კურორტი	აგვისტო	15.0
ბ.	ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა	წლის განმავლობაში პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, საინიციატივო ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სტუდენტების მიერ შემუშავებული პროექტების მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	20.0
გ.	ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია	წლის განმავლობაში ანტინარკოტიკული, თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო აქციების მოწყობა, საქალაქო მართონის მოწყობა	წლის განმავლობაში	5,0
დ.	შემოქმედი ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაცია	(ლიტერატურული სადამოები, გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები, კონკურსები, სპექტაკლები)	წლის განმავლობაში	13,0
ე.	ბუკლეტების, მოსაწვევებისა და ბანერების დამზადება		წლის განმავლობაში	5,0
ვ.	ტრენინგ-სემინარების მოწყობა		წლის განმავლობაში	15,0
ზ.	სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ახალგაზრდების დახმარება და საზოგადოებაში ინტეგრაცია	ახალგაზრდების დახმარება და ჩართვა კულტურულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და შემოქმედებით საქმიანობაში, მათი პროფესიული გადამზადება შესაძლებლობების გათვალისწინებით	წლის განმავლობაში	15,0
თ.	დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება		3 მარტი	5,0
ი.	ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი კონცერტი		15 სექტემბერი	17,0
კ.	ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზება და პატრიოტული სულისკვეთების ამადლება, ღია სემინარები, ტურიზმის განვითარება	საქართველოში ტურიზმის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესება, სამთო ტურიზმის პოპულარიზაცია, საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიის, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, დაცული ტერიტორიების გაცნობა (სავარაუდოდ, თითოეულ ტურზე 30 სტუდენტი)	წლის განმავლობაში	8,0

ლ.	გაუთვალისწინებელი ღონისძიებების ხარჯი		წლის განმავლობაში	12,6
მ.	წლის შემჯამებელი ღონისძიება			10,0
ნ.	კ.მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლი „სახლი ღრუბლებში“			3,5
2.	სატრანსპორტო ხარჯი		წლის განმავლობაში	15,0
3.	სხვა ხარჯი, მათ შორის:			12,6
ა.	ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების დაჯილდოება.			1,9
ბ.	პროექტ „ეტალონი“ გამარჯვებული მოსწავლის წახალისება.			0,7
გ.	წლის განმავლობაში გამოვლენილი წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება			10,0
4.	ვალდებულებების კლების მუხლი			4,6
5.	სულ:			206,1

ჩ. საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 04)

ჩ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 138,0 ათასი ლარი.

ჩ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.

ჩ.გ. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	საინფორმაციო უზრუნველყოფის საშუალება	თანხა (ათას ლარებში)
1.	ქუთაისის საკრებულოსა და მერიის სამართლებრივი აქტების გამოცემა	38,6
2.	ტელევიზია და სატელევიზიო პროექტები	80,4
3.	სხვადასხვა ღონისძიებებისა და საინფორმაციო საშუალებებისათვის	19,0
4.	სულ:	138,0

ც. ქუთაისის გაენათის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 05)

ც.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 68,0 ათასი ლარი

ც.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების, კერძოდ, ბაგრატის საკათედრო ტაძრის გარე განათების ფინანსური მხარდაჭერა.

5. სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 00): მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შედავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ, მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა. ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ა.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური, ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“.

ა.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 970,0 ათასი ლარი.

ა.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

ა.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით, ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; მედიკამენტებისა და სამედიცინო საგნების ხელმისაწვდომობა; სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება.

ა.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა; საშიში ინფექციური დაავადებით ავადობის მაჩვენებლის შემცირება; მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა; პროგრამებით დაფინანსებულ მოქალაქეთა გამოკითხვით მიღებული მაჩვენებელი.

ბ. ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ (პროგრამული კოდი 06 01 01)

ბ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 150,0 ათასი ლარი.

ბ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ბ.გ. განსახორციელებელი ღონისძიებები: საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ქალაქის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დეზინფექციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელშეწყობა, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, ქალაქის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება.

გ. მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 02)

გ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

გ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 300,0 ათასი ლარი.

გ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის მედიკამენტებით დახმარება.

დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირები. დახმარების მთხოვნელმა, განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი. დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებული 57000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისთვის ოჯახზე წელიწადში ერთხელ არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით და 57 000–იდან 70000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისთვის წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 50 ლარის ოდენობით. ლიმიტს ზემოთ და განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში დახმარების საკითხი გადაწყდება (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში არარეგისტრირებულ პირებზე) სამსახურის მიერ შექმნილი კომისიის დასკვნის საფუძველზე, დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. ჰემოდალიზზე მყოფი პაციენტების უზრუნველყოფა მედიკამენტებით და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარების მიღება მოხდება ერთჯერადი მომართვის საფუძველზე ყოველთვიურად, რომლის მოცულობა განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. დახმარების მთხოვნელმა, განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან და ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

გ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დადგენა, დახმარების მიზანშეწონილობისა და მოცულობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილის დამზადება, გაცემა, მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდება, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

გ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ათას ლარში, 12 თვე)
1.	მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი – 57000 სარეიტინგო ქულა	წინასწარ დადგენილი არ არის	არაუმეტეს 100 ლარი	216,0
2.	მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი 57000–დან 70000–მდე სარეიტინგო ქულა	წინასწარ დადგენილი არ არის	არაუმეტეს 50 ლარი	
3.	ჰემოდალიზზე მყოფი პაციენტების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	70	100 ლარი თვეში	84,0
4.	სულ ხარჯი:				300,0

დ. სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

და. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

დ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 480,0 ათასი ლარი.

დ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

დ.გ.ა. მიმომე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე შემდგომი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული პირები, წელიწადში ერთხელ. რადიოლოგიური დიაგნოსტიკის შემთხვევაში, დახმარება გაიცემა, მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე. მკურნალობის ხარჯების (სტაციონალური თერაპია, ქირურგია), ანაზღაურების შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებენ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები, დახმარების მოცულობა განისაზღვრება თანაგადახდის პრინციპით, კარდიოლოგიური დაავადებების შემთხვევაში მომსახურების ღირებულების არაუმეტეს 1000 (ათასი), ხოლო ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში, ბენეფიციარის არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე არაუმეტეს 500,00 (ხუთასი) ლარისა. ყველა სხვა დაავადებების შემთხვევაში დახმარების საკითხი განიხილება და გადაწყდება დაავადების, მკურნალობის მეთოდის, ღირებულების, ბენეფიციარის მატერიალური მდგომარეობის მოკვლევის საფუძველზე და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ანგარიშფაქტურა, ფორმა №100 სამედიცინო დაწესებულებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. დაფინანსების შემთხვევაში მომსახურების გამწევი დაწესებულება წარმოადგენს გაწეული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვას. ლიმიტსხვევით დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე. ანალოგიური წესით განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში დახმარების საკითხი. სამსახურს უფლება აქვს დახმარების მთხოვნელს მიუთითოს სამედიცინო დაწესებულება, სადაც მისი მკურნალობა ნაკლებღირებული იქნება.

დ.გ.ბ. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ხელშეწყობის მიზნით C ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებისათვის, სამკურნალო ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების თანადაფინანსება. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს C ჰეპატიტით დაავადებული, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც ჩართული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე, სახელმწიფო პროგრამის C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის კომპონენტში. განსაზღვრული მომსახურება ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დიაგნოსტიკური ჯგუფისათვის დადგენილი ღირებულების 30%-სა. პროგრამით მოსარგებლე პირებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ფორმა №100, ანგარიშფაქტურა, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი.

დ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, დახმარების გაწევის მიზანშეწონილობისა და ოდენობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილების გაცემა, სამედიცინო მომსახურების მიღება სამედიცინო დაწესებულებებში, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება. C ჰეპატიტის შემთხვევების შემოწმება უფლებამოსილი პირის მიერ შერჩევის პრინციპით, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება. საანგარიშო დოკუმენტების ინსპექტირება, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

დ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი (ლარში)	სულ ხარჯები (ათას ლარში, 12 თვე)
---	--------------------------	---------------------	-----------	------------------------	----------------------------------

1.	სამედიცინო მომსახურება	ბენეფიციარი	ბენეფიციართა რაოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის	არაუმეტეს 1000 ლარი	440,0
2.	C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევები	ბენეფიციარი	ბენეფიციართა რაოდენობა წინასწარ განსაზღვრული არ არის	არაუმეტეს 144,00	40,0
3.	სულ ხარჯი:				480,0

ე. ქალაქ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)

ე.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ე.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 20.0 ათასი ლარი.

ე.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასკოლო პედაგოგების ხელისშეწყობისა და განვითარების მხარდასაჭერად, პირველი, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკვლევა, მათში ყველაზე გავრცელებული დაავადებების – თიაქარის, სქოლიოზის, კრიპტორხიზმისა და რეფრაქციასთან დაკავშირებული პრობლემის დროულად გამოსავლენად, ამ პათოლოგიების მკურნალობისა და მასთან დაკავშირებული სხვა დაავადებების პრევენციის მიზნით. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (38 საჯარო და 8 კერძო სკოლა) პირველი და მეოთხე კლასის (4627) მოსწავლე და მეხუთე და მეექვსე კლასის (4216) მოსწავლე, შესაბამისად, პირველი და მეოთხე კლასის მოსწავლეების პროფილაქტიკურ სამედიცინო გასინჯვებს აწარმოებს ქირურგი და ორთოპედ–ტრავმატოლოგი, ხოლო მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეების პროფილაქტიკურ სამედიცინო გასინჯვებს – ექიმი-ოფთალმოლოგი.

ე.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: ქვეპროგრამის ბენეფიციართა ზუსტი ბაზის (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორის, თითოეულ დაწესებულებაში პირველი, მე-4, მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთა რაოდენობის, მათი დემოგრაფიული მონაცემების) მომზადება; ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტების – ქუთაისში მოქმედი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების განსაზღვრა და სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარება ქვეპროგრამაში მონაწილეობაზე; პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების კალენდარული დაგეგმვა; პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევების განხორციელება და მასზე ზედამხედველობა; გამოკვლევების შედეგების ანალიზი და სამომავლო ღონისძიებათა დაგეგმვა.

ე.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	თანხა (ათას ლარში, 12 თვე)
1.	ქალაქ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი და მეოთხე კლასის მოსწავლეთა ქირურგიული და ორთოპედიული პროფილაქტიკური გამოკვლევა	11,6
2.	ქალაქ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მეხუთე და მეექვსე კლასის მოსწავლეთა ოფთალმოლოგიური პროფილაქტიკური გამოკვლევა	8,4
3.	სულ ხარჯი:	20,0

ვ. ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 06 01 05)

ვ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ვ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 20.0 ათასი ლარი.

ვ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქ ქუთაისში მცხოვრებ ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა; ეპილეფსიით დაავადებულ პირთა მკურნალობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება: პროექტის ბენეფიციარები გაიყოფიან 2 ასაკობრივ ჯგუფად (0–18 წლამდე და 18 წლის ზემოთ), რომლებიც მიმართავენ ექიმ–ნერვოპათოლოგს, მათი კონსულტაციისა და ეეგ კვლევის საფუძველზე შედგება ფორმა №100 (ამონაწერი ავადმყოფის ისტორიიდან) დიაგნოზისა და დანიშნულების მითითებით. დახმარების მიღება მოხდება ვაუჩერის გამოყენებით, რომლის მოცულობა განისაზღვრება თვიურად 0–18 წლამდე ასაკის პირთათვის 40 ლარის, ხოლო 18 წლის ზემოთ ასაკის პირთათვის 20 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით, ამასთან, თითოეულ ბენეფიციარზე მათივე ინტერესებიდან გამომდინარე, გაიცემა სამი თვის ოდენობის ვაუჩერი და შესაბამისად, დახმარების მიღება განხორციელდება 0–18 წლამდე ასაკის პირთათვის 120 ლარის და 18 წლის ზემოთ ასაკის პირთათვის 60 ლარის ღირებულების ანტიკონვულსანტებით. ლიმიტზემთ დახმარების საკითხი გადაწყდება სამსახურის მიერ დამატებითი არგუმენტებისა და გარემოებების საფუძველზე, გამონაკლის შემთხვევაში.

ვ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: ადგილობრივი მედიის საშუალებებით სოციალური რეკლამის წარმოება პროექტის მიზნებისა და სარგებლის შესახებ; პროგრამის ბენეფიციარების ცენტრალიზებული რეგისტრის შექმნა სრული მონაცემების ფიქსირებით; მედიკამენტის ვაუჩერის დამზადება, ვაუჩერის გაცემა 3 თვის მედიკამენტების რაოდენობის გათვლით; სააფთაპო დაწესებულებების შერჩევა; მედიკამენტების გაცემა, გაწეული მომსახურების ანაზღაურება;

ვ.ე. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

ქუთაისში მცხოვრები ეპილეფსიით დაავადებულ პირთა მკურნალობა					
N	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი/თვე (ლარი)	საჭირო ხარჯი (ათას ლარში, 12 თვე)
1.	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	დაუზუსტებელია	20 /40	20,0
2.	სულ ხარჯი:				20,0

ზ. სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

ზ.ა. პროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ზ.ბ. პროგრამის ბიუჯეტი: 2603.4 ათასი ლარი.

ზ.გ. პროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ზ.დ. მოსალოდნელი საბოლოო შედეგები: მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესება; გაჭირვებული და პრობლემატური ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; უნარშეზღუდული პირებისათვის საკურორტო–სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა; ღვაწლმოსილი და დამსახურებული პირების პატივგება; ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება, საქართველოს „წითელი ჯვრის“ საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი ორგანიზაციისადმი თანადგომა; გარდაცვლილ ლტოლვილთა ოჯახების მორალური და მატერიალური თანადგომა, უპატრონო მიცვალებულთა პატივგება.

ზ.ე. შედეგების შეფასების ინდიკატორები: პროგრამებით დაფინანსებულ მოქალაქეთა გამოკითხვით მიღებული მაჩვენებელი; გაჭირვებულთა კატეგორიის მაჩვენებლის შემცირება; მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა; დემოგრაფიული პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მრავალშვილიან დედათა კმაყოფილება.

თ. მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრის კომუნალური ხარჯების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01)

თ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

თ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 20,0 ათასი ლარი.

თ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია თავშესაფრის მაცხოვრებელთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

თ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: კრიზისული სიტუაციების მართვა – 2,0 ათასი ლარი; სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ დახარჯული ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის თანხების ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშგაქტურების შესაბამისად, ფაქტიური ხარჯის მიხედვით – 18,0 ათასი ლარი.

ი. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ი.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ი.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 670,0 ათასი ლარი.

ი.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 ლარის ოდენობით, მატერიალური დახმარების გაწევა. სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული (მცხოვრები) იყოს ქალაქ ქუთაისში. მრავალშვილიან ოჯახს დახმარება დაენიშნება განცხადებით მომართვის თვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვს დახმარება შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. დახმარებით ვერ ისარგებლებს არასრულწლოვანი ბავშვი, თუ ის იმყოფება სახელმწიფო კმაყოფაზე. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ, ერთჯერადად, 700 (შვიდასი) ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტი შვილის შემთხვევაში დახმარება გაეწევათ, ერთჯერადად, 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) ოჯახებს, რომელთაც 2015 წელს შეეძინებათ მე-4, მე-5 და შემდეგი შვილი, მატერიალური დახმარება გაეწევათ ერთჯერადად. მე-4 შვილის შეძენისას მრავალშვილიან ოჯახს დახმარება გაეწევა 1000 ლარის ოდენობით, მე-5 შვილის შეძენისას 500 ლარის ოდენობით, ყოველი შემდეგი შვილის შეძენისას თანხა გაიზრდება 100 ლარით. სავალდებულოა შვილის შეძენის მომენტისათვის ორივე მშობელი რეგისტრირებული (მცხოვრები) იყოს ქალაქ ქუთაისში. შესაძლებელია 2015 წელს მოქმედი კანონის შესაბამისად, 2014 წლის დეკემბერში შვილის შეძენის შემთხვევების დაკმაყოფილება, თუ მასზე დახმარება არ არის გაცემული. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, დახმარება მიეცემა დედას, მამას ან სხვა უფლებამოსილ წარმომადგენელს. დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1. ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობა; 2. დედის და მამის პირადობის მოწმობები; 3. ქორწინების მოწმობა (საჭიროებისას); 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 5. სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ი.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: მოქალაქეთა განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა, პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა, ბენეფიციარებზე მატერიალური დახმარების გაცემა.

ი.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი	სულ ხარჯები (ათას ლარში, 12 თვე)
1.	მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი, თითოეულ არასრულწლოვან შვილზე, მატერიალური დახმარების გაწევა	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	თითოეულ არასრულწლოვან შვილზე თვეში 30 ლარი	578,0
2.	მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 6 (ექვსი) და მეტი შვილი, მატერიალური დახმარების გაწევა, ერთჯერადად	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	6 (ექვსი), 7 (შვიდი) და 8 (რვა) შვილიან ოჯახს – 700 ლარის ოდენობით, 9 (ცხრა) და მეტ შვილიან ოჯახს – 1000 ლარის ოდენობით	53,4
3.	მე-4, მე-5 და შემდეგი შვილის შექმნისას მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	წინასწარ განსაზღვრული არ არის	მე-4 შვილის შექმნისას – 1000 ლარი, მე-5 შვილის შექმნისას 500 ლარი, ყოველი შემდეგი შვილის შექმნისას 100 ლარის დამატებით	38,6
4.	სულ ხარჯი:				670,0

კ. სარიტუალო დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

კ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

კ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 70,0 ათასი ლარი.

კ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულებას. განიხილება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის დასაფლავების ხარჯების გაწევაში დახმარების საკითხი. დახმარებისათვის წარმოდგენილი უნდა იქნეს: ვეტერანისა და ლტოლვილის დამადასტურებელი მოწმობა; გარდაცვალების ცნობა; დასაფლავების ხარჯის გაწევის დამადასტურებელი ცნობა; დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობა; საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებისათვის სავალდებულოა შესაბამისი მომართვა პოლიციის განყოფილებიდან. ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებისათვის, რომლის დაკრძალვას ოჯახი ვერ უზრუნველყოფს, სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს: გარდაცვალების მოწმობა; გარდაცვლილის პირადობის მოწმობის ასლი; შუამდგომლობა ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულიდან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. მიტოვებულ, მკვდრადშობილ და გარდაცვლილ ახალშობილთა სარიტუალო მომსახურება, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი მომართვის საფუძველზე.

კ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 300 ლარის ოდენობით. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, რომლის დაკრძალვას ოჯახი, ფორსმაჟორული სიტუაციის გამო, ვერ უზრუნველყოფს. კერძოდ: სასახლის (ყუთის) დამზადება, სამარის გაჭრა-ამოვსება, კატაფალკით მომსახურება, საფლავის საიდენტიფიკაციო კოორდინატის დადგენა, საფლავზე საიდენტიფიკაციო ფირფიტის დაყენება. სამედიცინო დაწესებულებაში მიტოვებულ მკვდრადშობილ და გარდაცვლილ ახალშობილთა სარიტუალო მომსახურება, კერძოდ: სასახლის (ყუთის) დამზადება, საფლავის საიდენტიფიკაციო კოორდინატის დადგენა, საფლავზე საიდენტიფიკაციო ფირფიტის დაყენება.

კ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (12 თვე, ათას ლარში)
1.	გარდაცვლილი ვეტერანისა და ლტოლვილის ოჯახების მატერიალური დახმარება ერთჯერადად	ბენეფიციარი	203	300	61,0
2.	უპატრონო მიცვალებულთა დასაფლავება, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული მიცვალებულის სარიტუალო მომსახურება, რომლის დაკრძალვას ოჯახი ვერ უზრუნველყოფს	ბენეფიციარი	24	300	7,2
3.	მკვდრადშობილ და გარდაცვლილ ახალშობილთა სარიტუალო მომსახურება	ბენეფიციარი	11	160	1,8
4.	სულ ხარჯი:				70,0

ლ. სოციალური ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

ლ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ლ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 365.0 ათასი ლარი.

ლ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობა; კურორტული სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა.

ლ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: ტრადიციულ დღესასწაულებთან (აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, ახალი წელი) დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები ბენეფიციარებისათვის სურსათით და სხვა სახის დახმარების გაწევა, საზაფხულო დასვენება-რეაბილიტაციის მოწყობა კურორტებზე, ღირსშესანიშნავი დღეებისა და თარიღების აღნიშვნა, ღონისძიებების მოწყობა შესაბამისი კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული, უნარშეზღუდული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის.

ლ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	სულ ხარჯები (ათას ლარში, 12 თვე)
1.	1 იანვარს დაბადებული ახალშობილების შშობლების მატერიალური დახმარება	5,0
2.	15 თებერვალს, ავღანეთის ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება	6,0
3.	3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება	10,0
4.	აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60,0
5.	26 აპრილს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე და გარდაცვლილთა ოჯახების მატერიალური დახმარება	13,0
6.	9 მაისს, ფაშინოვზე ისტორიული გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის მატერიალური დახმარება და საზეიმო სადილის მოწყობა	30,0
7.	22 ივლისს, რეპრესირებულთა დღესთან დაკავშირებით, რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისათვის საზეიმო შეხვედრა და სადილის მოწყობა	2,0

8.	1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გასართობი ატრაქციონებით მომსახურება	10,0
9.	საზაფხულო დასვენება–რეაბილიტაციის მოწყობა კურორტებზე	145,0
10.	1 ოქტომბერს, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ალაფურშეტის მოწყობა	2,0
11.	3 დეკემბერს, ინვალიდთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა	10,0
12.	ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების დასაჩუქრება სასურსათო ნობათებით	60,0
13.	ზემთო ჩამოთვლილი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებისა და თაიგულების შექმნა	1,0
14.	საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, სხვადასხვა ორგანიზაციებში ახალი წლის ღამეს საჩუქრების გადაცემა	1,0
15.	ვეტერანთა ქუთაისის საქალაქო კავშირი	5,0
16.	პროგრამის მართვის ხარჯები (საწვავის და საკომუნიკაციო)	5,0
17.	სულ ხარჯი:	365,0

მ. ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06).

მ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 450,0 ათასი ლარი.

მ.ბ. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

მ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის თანადაფინანსებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. პროგრამა ითვალისწინებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერგიის თანადაფინანსებას და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების ანაზღაურებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0–დან 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება აუნაზღაურდება შემდეგი პრინციპით: ერთწევრიან და ორწევრიან ოჯახებს – 48 ლარი, სამ, ოთხ და ხუთწევრიან ოჯახებს – 72 ლარი, ექვს და შვიდწევრიან ოჯახებს – 96 ლარი, რვა და მეტ წევრიან ოჯახებს – 120 ლარი. თანხები გადანაწილდება თვეების მიხედვით პროპორციულად. თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების მქონე ბენეფიციარებს. ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება მოხდება სადისტრიბუციო კომპანიის („ენერგო–პრო ჯორჯიას“) ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 0–დან 70001–მდე სარეიტინგო ქულის მქონე, დახმარებით მოსარგებლე ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულება აუნაზღაურდება სულზე 0.5 (ორმოცდაათი) თეთრი.

მ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დადგენა, დახმარების მიზანშეწონილობისა და დახმარების მოცულობის საკითხის გადაწყვეტა. ბენეფიციართა იდენტიფიცირება განხორციელდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე. სსიპ სოციალური სააგენტოს მიერ მოწოდებულ სიაში სოციალურად დაუცველი ოჯახების ელექტროენერგიის აბონენტის ნომრის

არარსებობის შემთხვევაში, ბენეფიციართა აბონენტის ნომრების იდენტიფიცირება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ან მოქალაქის (ბენეფიციარის) ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში განცხადების საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სადისტრიბუციო კომპანიის „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ გაცემული აბონენტის ნომერი (ქვითარი), სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. ბენეფიციართა რაოდენობა დაუზუსტებელია და დაზუსტდება პროგრამის მიმდინარეობისას.

მ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	სულ ხარჯები (ათას ლარში, 12 თვე)	შენიშვნა
1.	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულების თანადაფინანსება	ბენეფიციარი	დაუზუსტებელია	360,0	
2.	სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულების თანადაფინანსება	ბენეფიციარი	დაუზუსტებელია	90,0	
3.	სულ ჯამი:			450,0	

ნ. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 07)

ნ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ნ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 150.0 ათასი ლარი.

ნ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: მზრუნველობამოკლებული ბავშვის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის პირებისათვის, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და ვერ იქნენ რეინტეგრირებული ბავშვთა საადმინისტრაციულ დაწესებულებიდან, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან ან შვილად აყვანილი, მათთვის დამოუკიდებლად ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით ფინანსური დახმარების გაწევა; სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებული ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების, მიტოვების რისკების პრევენციისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად და ასევე, სახელმწიფო მზრუნველობიდან რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გამლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით მატერიალური დახმარების გაწევა; ჰემოდიალიზზე მყოფი პირებისათვის (პაციენტებისათვის), მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევა, ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი: ბავშვთა დაწესებულების (ფილიალების) ყოფილი აღსაზრდელები, „მინდობით აღზრდისა“ და „მცირე საოჯახო ტიპის სახლის“ მომსახურებიდან გამოსული პირები, რომელთაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს და აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება; ოჯახები, რომელთა წევრთა შემადგენლობიდან სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულია ან რეინტეგრირებულია ერთი ან მეტი ბავშვი და აქვთ ამ პროგრამაში ჩართვის საჭიროება; ჰემოდიალიზზე მყოფი პირები (პაციენტები), რომელთაც აქვთ ამ ქვეპროგრამაში ჩართვის საჭიროება.

ნ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: ბენეფიციართა განცხადებების განხილვა, დახმარების მიზანშეწონილობისა და დახმარების მოცულობის საკითხის გადაწყვეტა, პროგრამის ქვემდებარე კონტინენტის

დადგენა, მატერიალური დახმარების გაწევა. ქვეპროგრამის პირველი და მეორე პუნქტის სამიზნე ჯგუფის პირთა იდენტიფიცირება განხორციელდება კომპეტენტური ორგანოს /სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს/ მიერ გაცემული დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნული იქნება პირის სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებისა და ვადების შესახებ, დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილი წესით შემუშავებული და გაცემული დასკვნა-რეკომენდაცია ქვეპროგრამაში 18 წელს მიღწეული პირის ან ოჯახის ჩართვის საჭიროების შესახებ. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის პირველ პუნქტში მითითებულ პირთა წრის დახმარება განსაზღვრულია თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მიღების უფლება წარმოეშობათ სრულწლოვანების მიღწევის მომდევნო თვიდან მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასასრულამდე. ბენეფიციარს დახმარება დაენიშნება მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ფინანსური დახმარება გაიცემა პროგრამის განხორციელების ვადის ამოწურვამდე, თითოეულ ბენეფიციარზე ჯამში არაუმეტეს 12 თვისა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მეორე პუნქტში მითითებულ ოჯახებს დახმარება გაეწევათ თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვზე თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მატერიალური დახმარება მიეცემა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და იმავდროულად, ფაქტობრივად მცხოვრებ ოჯახს/პირს, რომელსაც 2015 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე 2015 წლის განმავლობაში მოიპოვებს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე. ბენეფიციარებს დახმარების მისაღებად უფლება წარმოეშობა, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მომართვის შემდეგ, მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. პროგრამაში ჩართული ოჯახები მატერიალური დახმარებით დაკმაყოფილებიან რეინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამით მომსახურების ვადის დასრულებამდე 2015 წლის საბიუჯეტო წლის განმავლობაში. გამონაკლის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება შესაძლებელია, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე გაიცეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესიდან გამომდინარე, მისი ოჯახში დაბრუნებამდე ერთი თვით ადრე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფის მესამე პუნქტში მითითებულ ჰემოდიალიზზე მყოფ პირებს დახმარება გაეწევათ თვეში ერთხელ 100 (ასი) ლარის ოდენობით. დახმარება გაიცემა ბენეფიციარის განცხადებით მომართვიდან, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარები რეგისტრირებული (მცხოვრები) უნდა იყვნენ ქალაქ ქუთაისში. ბენეფიციარებმა განცხადებასთან და პირადობის დამადასტურებელ მოწმობის ასლთან ერთად უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე. ჰემოდიალიზზე მყოფმა პაციენტმა ცნობა – სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა №100). პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს მომსახურება შეუწყდებათ: პირადი განცხადების, გარდაცვალების, საცხოვრებლად სხვა რაიონში გადასვლისა და პროგრამით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემთხვევაში.

ნ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ხარჯი თვეში (ლარებში)	სულ ხარჯები 12 თვეში (ათას ლარში)
1.	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარის, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ და სრულწლოვანების გამო შეუწყდა მომსახურება, მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	6	200	14,4

2.	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და იმავდროულად ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახის/პირის მატერიალური დახმარება, რომელსაც 2015 წლამდე მოპოვებული აქვს და არ აქვს შეწყვეტილი რეინტეგრაციის შემწეობის მიღების უფლება „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად და ასევე, 2015 წლის განმავლობაში მოიპოვეს ამ უფლებას, მის შეწყვეტამდე	ბენეფიციარი	22	200	52,8
3.	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) ჰემოდალიზზე მყოფი ბენეფიციარების მატერიალური დახმარება	ბენეფიციარი	69	100	82,8
4.	სულ ხარჯი:				150,0

ო. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

ო.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

ო.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 25, 0 ათასი ლარი.

ო.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია, სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა („პამპერსი“) და სველი სალფეთებით. ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარს აუნაზღაურდება ფიქსირებულად დღეში 2 ჰიგიენური საფენისა (თვეში 60 ცალი, ერთეულის ღირებულება 50 თეთრი) და სველი სალფეთის (თვეში ერთი შეკვრა, ერთეულის ღირებულება 2 ლარი) ღირებულება. ანაზღაურება მოხდება სამსახურის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე, რომელიც ბენეფიციარის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეცემა ყოველთვიურად. დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი საბუთი; ბავშვის დაბადების მოწმობა; შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა აღნიშნული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ; ცნობა მომსახურების მომწოდებლისგან, ბენეფიციარის (შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირის) მათი მომსახურების სარგებლობის შესახებ; ანგარიშფაქტურა ავთიაქიდან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, სხვა დამატებითი დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით.

ო.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამის ქვემდებარე კონტიგენტის დადგენა, დახმარების მიზანშეწონილობის განსაზღვრა, საგარანტიო წერილის მომზადება, გაცემა, გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

ო.ე. ქვეპროგრამის ხარჯთააღრიცხვა

N	ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	ბენეფიციართა რაოდენობა	ერთეულის რაოდენობა (თვეში)	ერთეულის ხარჯი თვეში (ლარში)	სულ ხარჯი (ათას ლარში, 12 თვე)
1.	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება ჰიგიენური საფენებით	ბენეფიციარი	65	3900 (ცალი)	1950	23,4

2.	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული „ბავშვთა ადრეული განვითარების“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა დახმარება სველი სალფეთქებით	ბენეფიციარი	65	65 (შეკვრა)	130	1,6
3.	სულ ხარჯი:					25,0

პ. უფასო მგზავრობა (პროგრამული კოდი 06 02 09)

პ.ა. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

პ.ბ. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 167,0 ათასი ლარი.

პ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საქალაქო ტრანსპორტით (ავტობუსით) სარგებლობის უზრუნველყოფა შემდეგი კატეგორიის პირებისათვის: უფასო კვების პროგრამის ბენეფიციარები: II მსოფლიო ომის ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის ინვალიდები და მარჩენალდაკარგულები; „წითელი ჯვრის“ კლუბების ხანდაზმული პენსიონერები; „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამით მოსარგებლე დედები; მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირები; „დღის ცენტრის“ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების მშობლები და კანონიერი წარმომადგენლები, „SOS“-ბავშვთა სოფლის აღსაზრდელები, სტუდენტური ოჯახები (ცოლი და ქმარი, ორთავე სტუდენტი); სულ: 1150 პირი. ქვეპროგრამით სარგებლობა მოხდება სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების გამოყენებით, ბილეთის ფასი 30 თეთრი, ბილეთის გამოყენება შეიძლება სამგზავრო მოწმობასთან ერთად, ქვეპროგრამით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული (მცხოვრები) პირები. სამგზავრო მოწმობის მისაღებად საჭიროა ფოტოსურათის, პირადობის მოწმობისა და კატეგორიის მიმანიშნებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ეკონომიის ხარჯზე, შესაძლებელია დამატებითი კატეგორიის კონტიგენტისა და განსაკუთრებული შემთხვევების მომსახურება სამსახურის გადაწყვეტილებით. ქვეპროგრამაზე მომსახურე გადაამზიდავებისათვის თანხის ანაზღაურება მოხდება მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის მიერ წარმოდგენილი გახარჯული ბილეთების რაოდენობის მიხედვით.

პ.დ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამით მოსარგებლე პირთა კონტიგენტის (ბენეფიციართა) დადგენა. სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების დამზადება, გაცემა. საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობა.

პ.ე. ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა:

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეული	ღონისძიებისათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (12 თვე, ათას ლარში)
1.	საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა	ბენეფიციარი	1150		164,2
2.	პროგრამის მართვის ხარჯი (სამგზავრო მოწმობებისა და ბილეთების დამზადება)				2,8
3.	სულ ხარჯი:				167,0

ჟ. ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“ (პროგრამული კოდი 06 02 10)

ჟ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 608,0 ათასი ლარი.

ჟ.ბ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამა უზრუნველყოფს განსაკუთრებით გაჭირვებული, უმწეო პირების კვებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ჟ.გ. განსახორციელებელი ღონისძიებები: პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა შერჩევა, მომსახურების მომწოდებელი სუბიექტის შერჩევა, პროგრამის ბენეფიციარების ყოველდღიურად, ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფა, პროგრამის განხორციელების მონიტორინგი, მართვა.

რ. ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიული ერთეულის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბუნებრივი აირის გამრიცხველიანების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 11)

რ.ა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 20,0 ათასი ლარი.

რ.ბ. ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

რ.გ. ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამის მიზანია 2015 წელს ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებული (მცხოვრები), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახებისათვის სს „საქორგაზის“ მიერ ბუნებრივი აირის გაყვანილობის მონტაჟისა და გამრიცხველიანებისათვის საჭირო თანხების თანადაფინანსება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდება, ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებული (მცხოვრები) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე 100 ოჯახისათვის სს „საქორგაზის“ მიერ შესრულებული სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში, მოქალაქის მიერ ასანაზღაურებელი ხარჯის თანადაფინანსება მოხდება ქალაქ ქუთაისში, გუმათის ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებული (მცხოვრები) ოჯახის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. განცხადებას თან უნდა ახლდეს ინდივიდუალური მრიცხველის მქონე ბენეფიციარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი სადისტრიბუციო კომპანიის მიერ გაცემული აბონენტის ნომერი, ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან, სს „საქორგაზის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა საჭირო დოკუმენტი სამსახურის მოთხოვნით. თანხა ანაზღაურდება თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ბენეფიციარის აბონენტის ნომერზე ჩარიცხვის გზით.

